



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 10 მაისი, 2018 წელი

დრო: 16:00 -18:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „იოტა“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
2. ნაირა ბეპიევი - კავკასიური მოზაიკა
3. ნატო ბაჩიაშვილი - გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
4. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
5. ხატია ქარდავა - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
6. ალუ გამახარია - ასოციაცია „მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია“
7. გუნა ბიბილაშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის
8. ლაშა მკურნალიძე - სკოლა-ოჯახი-საზოგადოება
9. სალომე ადამია - საქართველოს ახალგაზრდა სოციალისტები
10. რიმა გელენავა - „განიარაღება და არამალადობა“
11. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
12. მერაბ გამსახურდია - გადავარჩინოთ მომავალი თაობა
13. ოლგა კიკვა - ასოციაცია „მერკური“

განსახილველი საკითხები:

- ჯგუფის სამოქმედო გეგმის განახლება.
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ქ-ნ ქეთევან ციხელაშვილთან დაგეგმილი შეხვედრა
- სხვა სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებთან მომავალი სამუშაო შეხვედრებისა და ურთიერთობის ფორმატების დაგეგმვა.

მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გახსნა, ჯგუფის კოორდინატორმა, ნუკრი ყველაშვილმა, რომელმაც ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგი და შეხვედრის ჩატარების მიმართულება განსაზღვრა.

პირველ საკითხად განიხილეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან ქალბატონ ქეთევან ციხელაშვილთან დაგეგმილი შეხვედრისას განსახილველი თემები. ყურადსაღებია, რომ დამსწრე საზოგადოება ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს აღნიშნულ შეხვედრას, სადაც მათ საშუალება ექნებათ განიხილონ მიმდინარე საკითხები და ინიციატივები.

შეხვედრის ძირითადი ნაწილი დაეთმო მეოთხე ჯგუფის მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხილვას. ჯგუფის კოორდინატორმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვარიანტი, რომლის ფარგლებშიც შეუძლია მეოთხე სამუშაო ჯგუფს განახორციელოს თავისი საქმიანობა. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, სამუშაო შეხვედრაზე დამსწრე პირებს ჰქონდათ თავიანთი მოსაზრებები, შეხედულებები და საკითხის განვითარების და უფრო ფართო მასშტაბებზე გავრცელების მიზნები, რომლებზეც ჯგუფში მოხდა განხილვა.

ჯგუფში დეტალურად იქნა განხილული გაცვლითი პროგრამების საკითხი, რომლითაც საქართველოს მაცხოვრებელი ახალგაზრდები სარგებლობენ. ასევე განიხილეს ქალბატონი ქეთევან ციხელაშვილის წინადადება და სურვილი, რომ აღნიშნულ გაცვლით პროგრამებში მოხდეს აფხაზეთსა და ოსეთში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვა. აღნიშნული საკითხი რა თქმა უნდა უამრავ პრობლემას და მიმართულებას მოიცავს და ამიტომ ამ საკითხზე კოორდინირებული მუშაობა არის ძალიან მნიშვნელოვანი.

აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილეს განათლების მინისტრის მიერ წარმოდგენილი 4 პუნქტიანი გეგმა, რომელიც ეხება განათლების განვითარების სტრატეგიას. პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება წერილით მიმართონ განათლების მინისტრს და სთხოვონ ჩაინიშნოს შეხვედრა, რომელზეც მოხდება „განათლების განვითარების სტრატეგიის“ განხილვა, ასევე 2030 წლისთვის მათ გაწერილი აქვთ სამოქმედო გეგმა და მნიშვნელოვანია პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრა. თავის მხრივ ეროვნული პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფი 2030-ის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით პუნქტობრივად მოამზადებს საკუთარ შეხედულებებს, წინადადებებს და მიაწოდებს განათლების სამინისტროს, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია, თუ რა პერსპექტივებს ხედავს სამოქალაქო საზოგადოება, რა არის მათი ხედვით შესაცვლელი, რაც აღნიშნულ შეხვედრას უფრო ნაყოფიერს და შედეგიანს გახდის.

ქალბატონმა იულია ხარაშვილმა ისაუბრა დევნილების პრობლემების შესახებ, რომელსაც ისინი დღეს აწყდებიან. ასევე მან განიხილა სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დოკუმენტები, რომლებიც მათი პრობლემების მოგვარებას უკავშირდება და ისაუბრა იმ პრობლემებსა და რისკებზე, რომლებიც სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებულ პოლიტიკას ახლავს თან. მან ასევე ისაუბრა იმ საჭიროებებზე, რომლებიც დევნილი მოსახლეობისათვის არის დღეს პრობლემა, მდგომარეობაზე „სტატუსიდან - საჭიროებამდე“, რომელიც ფოკუსირებულია იმ დახმარებების

შეთავაზებაზე, რომელიც კონკრეტულ ოჯახებს სჭირდებათ პრიორიტეტების მიხედვით, მაგალითად: განათლების ხელმისაწვდომობა, მედიკამენტებით დახმარება, ფინანსური ხელშეწყობა და ა.შ.

ჯგუფის კოორდინატორმა, ნუკრი ყველაშვილმა წევრებს სთხოვა წარმოდგენილ სამოქმედო გეგმის საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები პუნქტობრივად ჩამოაყალიბება, თუ რა საკითხები შეიძლება დაემატოს/შეიცვალოს დოკუმენტში. წინადადებების წარმოდგენის ვადად განისაზღვრა 10 სამუშაო დღე.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე